ABOUT SOME NOTABLE MOMENTS OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS (THE FIRST DECADES OF THE TWENTIETH CENTURY)

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ზოგიერთი საგულისხმო მომენტის შესახებ (XX საუკუნის პირველი ათწლეულები)

Aleksandre Mgebrishvili
Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. After the February Revolution of 1917, Georgia was faced with a completely new reality: during the centuries of captivity, the only point in Treaty of Georgievsk defended by the Russian Empire was to fortify its borders and protect Georgia from foreign enemies. However, it is clear that the policy of the Russian Empire in the protection of the borders was conditioned not by the obligation to protect the relevant article of the treaty, but by its own state interests. It is noteworthy that this only protected article of the agreement in post-revolutionary Russia was also violated. The territorial integrity of the country was posed a real threat by, on the one hand, the activated Ottomans, and, on the other hand, by the emerging Bolshevism in the north.

The Georgian people, who were constantly thinking about the restoration of their lost, deprived independence, faced the need to make very important decisions.

"It has taken into account the path of self-determination in the hope that the act of liberation would only evoke compassion in cultural humanity." (Ingilo, 1918, p. 1)

Naturally, this idea was not new. After the national liberation charge exerted by the Tergdaleuli's in 1903, the Paris-born National-Revolutionary Mood periodical "Sakartvelo (Georgia)" (Newspaper Georgia, 1903) for the first time formally formulated the demand for Georgian statehood in the form of national-territorial autonomy of freedom.

Although Treaty of Georgievsk was only an agreement between the allies and did not mean the complete loss of Georgia's independence and sovereignty, it cost the Georgian people dearly.

Prof. Iv. Javakhishvili noted in a report on the situation in the country on April 28-29, 1919, at the State University, that the more our ancestors were experienced in policy-making with the Eastern states (Persia, the Ottoman Empire), the more naive they were in policy-making with Europeans. Our ancestors thought that a strong Christian nation would unselfishly help a small Christian nation, and that unfaithfulness would not take place in the politics of a strong nation, but the reality has shown us something completely different. If Georgia itself pursued politics independently, then so was its renaissance. Even when Georgia was approaching Russia, then its affairs were mixed up, because Russia's policy was not entirely to help Georgia. Russia had its goals and caring for Georgia was just a matter of words. (Newspaper Georgia, 1919, p. 4)

Keywords: Sovereignty, Georgian-Ossetian. Territorial integrity, Soviet Russia, Occupation, Separatism, Independence;

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53,1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველო სრულიად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, საუკუნოვანი ტყვეობის განმავლობაში, ერთადერთი პუნქტი გეორგიევსკის ტრაქტატიდან, რომელსაც რუსეთის იმპერია იცავდა, საზღვრების გამაგრება და გარეშე მტერთაგან საქართველოს დაცვა გახლდათ. თუმცა, ცხადია, რომ საზღვრების დაცვის დროსაც რუსეთის იმპერიის სამოქმედო პოლიტიკა გაპირობებული იყო არა ხსენებული ტრაქტატის შესაბამისი მუხლის დაცვის ვალდებულებით, არამედ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებით. საგულისხმოა, რომ პოსტრევოლუციური პერიოდის რუსეთში შეთანხმების ეს ერთადერთი დაცული მუხლიც დაირღვა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა რეალური საფრთხის წინაშე დააყენა, ერთის მხრივ, გააქტიურებულმა ოსმალეთმა, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩრდილოეთით აღმოცენებულმა ბოლშევიზმმა.

ქართველი ხალხი, რომლის გონებაში მუდმივად ტრიალებდა დაკარგული, წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრი, აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობის წინაშე.

„ქართველი ერი სრულიად შეგნებულად და მომავლისადმი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დაადგა თვითგამორკვევის გზას იმ იმედით, რომ განთავისუფლების აქტი კულტურულ კაცობრიობაში მხოლოდ თანაგრძნობას გამოიწვევდა“ (ინგილო, 1918, გვ. 1).

ბუნებრივია, ეს იდეა ახალი არ გახლდათ. თერგდალეულთა მიერ აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მუხტის შემდეგ, 1903 წელს, პარიზში დაბადებულმა ეროვნულ-რევოლუციური განწყობის პერიოდულმა გამოცემა „საქართველომ“ (საქართველო, 1903) პირველად ოფიციალურად წამოაყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით, უფრო მეტიც, ეს მოსაზრება გაიტანა საზღვრებს გარეთ და ევროპაში დასვა საკითხი ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი წარმოადგენდა მხოლოდ მოკავშირეთა შორის შეთანხმებას და სრულიადაც არ გულისხმობდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას, იგი ძალზე ძვირი დაუჯდა ქართველ ხალხს.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტში 1919 წლის 28-29 აპრილს, ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ, წაკითხულ მოხსენებაში ბრძანებდა, რომ რამდენადაც ჩვენი წინაპრები გამოცდილნი იყვნენ აღმოსავლეთ სახელმწიფოებთან (სპარსეთთან, ოსმალეთთან) პოლიტიკის წარმოებაში, იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ ევროპელებთან პოლიტიკის წარმოებისას. ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს, და ძლიერ ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. თუ საქართველო თვითონ, დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო (საქართველო, 1919ბ, გვ. 4).

საკვანძო სიტყვები: სუვერენიტეტი, ქართულ-ოსური, ტერიტორიული მთლიანობა, საბჭოთა რუსეთი, ბოლშევიზმი, ოკუპაცია, სეპარატიზმი, დამოუკიდებლობა.

კვლევის მეთოდები: მოცემულ სტატიაში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: განზოგადება, ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, შედარება, სისტემური მიდგომა. შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი, რომელიც გამოყენებულია კვლევის პროცესში, საკუთარ თავში აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სახის თეორიულ მეთოდოლოგიას.

შესავალი: 1919 წელს საქართველოს მთავრობამ პირველად განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი. დოკუმენტი განსაზღვრავდა ე.წ. „ჯავის მაზრის“ ახალი ადმინისტრაციული ერთეულის დაარსებას. საკითხის უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით, იუსტიციის მინისტრის მოადგილის გრ. გველესიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია. კომისიის შემადგენლობაში მიწვეულ იქნენ: პროფ. ი. ჯავახიშვილი, პროფ. ექვთ. თაყაიშვილი, გენერალი ანდ. ბენაშვილი, ტოპოგრაფი გრ. ცხაკაია და სხვ.

კომისიის სხდომებზე გამოთქმულ მოსაზრებათა შორის უმნიშვნელოვანესია პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ჩრდილოეთიდან არსებულ საფრთხეებზე. კერძოდ, მისი განცხადებით, რაჭის, დუშეთის და გორის მაზრების მთიან ზოლში, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ თერთმეტი გადმოსასვლელი არსებობს და „თუ სამხრეთის ოსები მტრულად იქნენ განწყობილი საქართველოს მიმართ, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. მუდამ საჭირო იქნება საგრძნობი ძალების ყოფნა ამ გადმოსასვლელების დასაცავად. თუ საქართველოს არ უნდა, რომ ყოველთვის საფრთხის წინ იდგეს, მან ისე, როგორც ძველად მას ეკუთვნოდა, უნდა დაიბრუნოს დვალეთი, სადაც ჩრდილოეთიდან არის მხოლოდ ერთი გადმოსასვლელი არდონის კარი, რომლის ჩაკეტვას დიდი ძალა არ სჭირდება და რომლის დაჭერაც იქნება უდიდესი გარანტი იმისა, რომ ჩვენ სამშობლოს ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხიფათი არ აშინებდეს“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი #1796, აღწ. #1, საქ. #72, ფურც. 22).

პროფ. ო. ჯანელიძის მოსაზრებით, ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხიფათზე საუბრისას მეცნიერი ბოლშევიკური რუსეთის აგრესიას გულისხმობდა. იგი ასევე მიუღებლად მიიჩნევდა „საქართველოს მთავრობის პროექტს შიდა ქართლის ოსური სოფლების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფისა და ოსთათვის საერობო თვითმმართველობის შემოღების შესახებ“ (ჯანელიძე, 2017, გვ. 38).

ეროვნულ უმცირესობათა და საზოგადოდ ერთა თვითგამორკვევის შესახებ მსჯელობისას, უპირველესი ამოსავალი წერტილი სახელმწიფო ინტერესების უპირობო გათვალისწინებაზე გადის. საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ უმცირესობათათვის საქართველოში შექმნილი იყო ყოველგვარი შესაძლებლობა ზიარებოდნენ უმდიდრესი ქართული კულტურის წიაღს და იმავდროულად შეძლებოდათ არა მარტო შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, კულტურა და ტრადიციები, არამედ უფრო განევითარებინათ კიდეც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არასოდეს გადაქცეულა ეროვნულ უმცირესობათა დევნის ასპარეზად. პირიქით, ახალგაზრდა რესპუბლიკის მესვეურთ ყოველთვის ახსოვდათ, რომ „ეროვნული უმცირესობანი, როგორც მასსა არ შეიძლება პასუხისმგებლად ჩავსთვალოთ მათი ხელმძღვანელობის შემცდარი ნაბიჯებისა. ჩვენ ეროვნულ უმცირესობათ მხოლოდ ერთ მოთხოვნას ვუყენებთ და ეს ჩვენი მოთხოვნა კატეგორიული ხასიათისაა: მათ უნდა იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა, წინააღმდეგიც რომც იყვნენ ამ დამოუკიდებლობისა. ვთხოულობთ ამას იმიტომ, რომ არ შეგვიძლიან საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის - ქართველი

ხალხის - ინტერესი, რაიცა ამ შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში გამოიხატება, მსხვერპლად შეეწიროს ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატურსა და საეჭვო ღირსების ინტერესებს. ამაზე შორს ჩვენი მოთხოვნები არ მიდის. საქართველოს შიგნით ჩვენ ასეთისავე დაჟინებით მოვითხოვთ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა ყოველნაირი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული“ (სახალხო საქმე, 1918).

ძირითადი ნაწილი/განხილვა: საქართველოს ბრძოლაში თავისუფლების და დამოუკიდებლობისთვის სხვა ეროვნულ უმცირესობათა შორის საკუთარი ნეგატიური ფონი განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოკვეთა ოსურმა საფრთხემ. უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და სისხლი გახდა საჭირო იმ ავანტიურების გასანეიტრალებლად, რომლებსაც ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის დროს არაერთხელ ჰქონდა ადგილი. საყოველთაოდ ცნობილია ის მოტივები, რომლებიც სარჩულად ედო ცხინვალსა და მის შემოგარენში სეპარატისტულად განწყობილ ოსთა შეიარაღებულ გამოსვლებს. ამ გამოსვლების ორგანიზებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ცენტრალური შტაბის ფუნქციას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო წარმოადგენდა. იგი თავიდანვე ოპოზიციაში უდგა საქართველოს და დაუფარავად ახორციელებდა რიგ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. გაზეთ „საქართველოს“ ენით რომ ვთქვათ, ოსთა საბჭო „აწყობდა ამბოხებას და სისხლში გაბანა თავისი ტერიტორია. წინათ თუ კიდევ ჰქონდა რაიმე აზრი საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ნაციონალური საბჭოების არსებობას, იმის შემდეგ რაც საქართველომ დამფუძნებელი კრება მოიწვია და იძლევა როგორც ფაქტიურ, ისე კონსტიტუციურ გარანტიებს - ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად, ნაციონალური საბჭოების არსებობას აზრი ეკარგება... მით უმეტეს მიუღებელია მათი პოლიტიკური პრეტენზიები და სამხრეთ ოსეთის საბჭოს დადგენილება უნდა განხილულ იქნეს, როგორც არაკანონიერი გამოსვლა, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს რესპუბლიკას“ (საქართველო, 1919ა, გვ. 1-2).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველთვის მოსურნე იყო მშვიდობიანი პოლიტიკა ეწარმოებინა როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისევე ქვეყნის შიგნით. საგარეო ურთიერთობებში კეთილმეზობლური თანაცხოვრების სურვილი უპირველესად გამოიხატა საქართველოს ხელისუფალთა მიერ საჯაროდ გაცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტით. ახალგაზრდა რესპუბლიკა სამეგობროდ უწვდიდა ხელს ყველა მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოს.

საკმაოდ რთული იყო ქვეყნის შიგნით განვითარებული მოვლენებიც. ამ პროცესების სამზეოზე გამოტანა ნათელს ჰფენს არაერთი წრის მუხანათურ და ავაზაკურ საქმიანობას საქართველოს წინააღმდეგ. ხშირი იყო ეროვნულ უმიცირესობათა ბრმა იარაღად გამოყენების შემთხვევები. მავანთა მხრიდან მათი ქვეყნის მოწინააღმდეგე ძალად გადაქცევის სურვილი. უმცირესობათა სახელით ათასგვარი პოლიტიკური ავანტიურისტი ახორციელებდა შავ-ბნელ მუშაობას ქვეყნის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობა, უმრავლეს შემთხვევებში, ახერხებდა მტრულად განწყობილი იმ ძალების შეჩერებას, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ძირითად საყრდენად ეროვნულ უმცირესობათა რეაქციულ ფრთას იყენებდნენ.

გაზ. „სახალხო საქმე“[1] წერდა: „ჩვენ არ გვინდა ბოროტება დიდხანს დავიხსომოთ. ჩვენც სიამოვნებით დავიწყებას მივცემთ წარსული დროის ყოველგვარ შეცოდებას ჩვენი

[1] **გაზეთი „სახალხო საქმე“** - საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ყოველდღიური

მტრებისას, თუ დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ ხაზი მათი მოქმედებისა შეიცვლება და დადგება დრო საქართველოს ყველა ერთა ძმური თანამშრომლობისა საქართველოს დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად სამოქალაქო თავისუფლებათა ნიადაგზე“ (სახალხო საქმე, 1918).

სამწუხაროდ, წარსული დროის ყოველგვარ შეცოდებათა დავიწყების და ურთიერთობათა ახალი ფურცლიდან დაწყების საშუალებას არ იძლეოდნენ ცხინვალის მიმდებარედ განსახლებულ ოსთა სეპარატისტული ზრახვებით შეპყრობილი ძალები. ათასი ჯურის პროვოკატორთა მიერ წაქეზებული ოსი მოსახლეობის რეაქციული ფრთა იარაღით ხელში გამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ. მოკლე დროში, მსგავსი შეიარაღებული ამბოხი რამდენჯერმე განმეორდა.

1920 წელს 17 მაისიდან კიდევ ერთხელ გამოიკვეთა რეგიონში მესამე ძალის ინტერესების არსებობის უტყუარი ფაქტი. საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის უხეშ ჩარევად შეიძლება შეფასდეს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი ნოტა. ნოტის შინაარსი ასეთი იყო: „ჩვენ შეშფოთებით გავიგეთ, რომ „სამხრეთ ოსეთში“, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი ჩარევა უცხო საქმეებში“ (სონღულაშვილი, 2009, გვ. 162-163).

აღნიშნულ ნოტას, ბუნებრივია, მკვეთრი რეაქცია მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. იმავე წლის 20 მაისის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ „საქართველოს ფარგლებში „სამხრეთ ოსეთი“ არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობენ ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას... ეს ტერიტორია ხელშეკრულებით შედის საქართველოს საზღვრებში და იქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა დაუშვებელია“ (სონღულაშვილი, 2009, გვ. 163).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და იღებდა ვალდებულებას მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობასთან დაკავშირებით, უკვე მომდევნო წლის ქართული პერიოდული პრესა წერდა: „საბჭოთა მთავრობას ერთი ფრიად დამახასიათებელი თვისება დაჰყვა თან: კაცმა არ იცის, როდის აიღებს იგი იარაღს იმის წინააღმდეგ, ვისაც ხელშეკრულებით ეკვრება. ეტყობა პირობას იმიტომ დებენ, რომ არ აასრულონ და წინდაწინვე არიან დარწმუნებულნი ამაში“ (სახალხო საქმე, 1921).

1920 წლის ცხინვალის მოვლენებიდან მალევე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ცხინვალშია. 28 ივლისს მინისტრი ნ. რამიშვილი, კანცელარიის დირექტორი ს. გეგელაშვილი და რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე ივ. ქარცივაძე გაემგზავრნენ გორში. სადგურზე ქალაქის თვითმმართველობის და სხვა ხელმძღვანელ პირებთან მოკლე შეხვედრის შემდეგ დელეგაცია ეწვია ცხინვალს. ქალაქში მათ მიეგება ადგილობრივი თემი, ქალაქის საზოგადოებრიობა, ეროვნული გვარდიის და რეგულარული ჯარის წარმომადგენლები. მინისტრი რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიესალმა შეკრებილ ხალხს, უსურვა მხნეობა და თავდადება მტრის წინააღმდეგ

ქართულენოვანი პერიოდული გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1917-1921 წლებში. რედაქტორი-სამსონ ფირცხალავა.

ბრძოლაში. დამფუძნებელი კრების წევრთან ლ. ჟღენტთან[2] გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ რაზმის უფროსი, სახალხო გვარდიის, საველე შტაბის, მაზრის და ადგილობრივი ერობის წარმომადგენლები. მინისტრი ყურადღებით გაეცნო ოსთა აჯანყების შემდგომ პერიოდში ადგილზე შექმნილ ვითარებას და ზოგადად კუთხის მდგომარეობას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველივე განკარგულება შეეხო რეგიონში ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების დაუყოვნებლივი აღკვეთის აუცილებლობას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარე ბუნებას და მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ხალხისთვის შექმნილ ხელსაყრელ გარემოს ეროვნული ტრადიციების გაღრმავებისა და განვითარებისთვის.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „მინისტრმა ფიცხელი განკარგულება გასცა, რათა არავითარ ძალადობას ან რაიმე სხვა უკანონობას, ადგილი არ ქონდეს არავისადმი, ვინც გინდა იყოს იგი და რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდესო. ყველა ისინი, ვინც ასეთ რამეს ჩაიდენს პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული და სასტიკად დასჯილნი. წამოსვლისას მინისტრს მოედანზე შეხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებთაც მინისტრმა მოკლე სიტყვით მიმართა: იმ ამბების შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა და რომელთა მოწმენი თქვენ გახდით, - განაცხადა მინისტრმა, - ალბათ ყველამ დაინახა, თუ რანაირი სისასტიკით და სიმკაცრით იბრძვის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ. წინააღმდეგ ყველა იმათი, რომლებიც ლამობენ მის (რესპუბლიკის) ამბოხებით, შიგნით აფეთქებით მოსპობას. ჩვენი რესპუბლიკა იმიტომ არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ იგი ერთნაირად იცავს ყველა თავის მოქალაქის, განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოების, ინტერესებს. მაგრამ, ამავე დროს, იგი ერთნაირად დასჯის ყველას, ვინც მოისურვებს და მოინდომებს აჯანყებებით და შინაური ომის საშუალებით სისხლში ჩახრჩობას მშრომელი ხალხის მიერ შექმნილ რესპუბლიკისას. მე იმედს გამოვთქვამ, რომ ამის შემდეგ არავითარ ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი არ ექნება და მთავრობა თქვენთან ერთად სამუდამოდ მშვიდობიანობასა და წესრიგს დაამკვიდრებს, რაც საშუალებას მისცემს ჩვენ ქვეყანას განვითარდეს და სათანადოდ მოემზადოს უკეთესი მერმისისთვის.

მინისტრის სიტყვებს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა და მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ მინისტრი გაემგზავრა გორში. 29 ივლისს დილით ისევ ტფილისს დაბრუნდა“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1920ბ, გვ. 3).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მალევე კვლავ უბრუნდება მაღალჩინოსანი დელეგაციის ცხინვალში ჩასვლის ფაქტს. მისი ცნობით, შინაგან საქმეთა მინისტრის და სხვა საპატიო სტუმრების მიზანს ადგილზე მდგომარეობის შესწავლა წარმოადგენდა. ნ. რამიშვილი გაეცნო ადგილობრივთა ცხოვრებას, მიიჩნია, რომ ცხოვრების ტემპი ნორმალურად მიმდინარეობდა და ვითარება დამაკმაყოფილებლად შეაფასა. მილიციამ და ეროვნული გვარდიის ნაწილებმა ადგილზევე მიიღეს შემდგომი მოქმედების ინსტრუქცია (საქართველოს რესპუბლიკა, 1920ა, გვ. 2-3).

რეგიონში შინაგან საქმეთა მინისტრის სტუმრობის ფაქტი, ბუნებრივია, არ დარჩებოდა გაზეთ „ერთობის“ ყურადღების მიღმა. პირველი აგვისტოს ნომერი ამ

---

[2] **ლეონტი (ვიქტორ) ჟღენტი** (1884-1969) - საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ჟურნალისტი, სამხედრო და საარჩევნო კომისიების წევრი, მთავრობის საგანგებო რწმუნებული ცხინვალში. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, გამოსცემდა ჟურნალ „წყაროს“. 1921 წლის თებერვლის შემდეგ დატოვა საქართველო, ცხოვრობდა საფრანგეთში. დაკრძალულია ლევილში.

მოვლენის შესახებ აუწყებდა მკითხველს: „მინისტრი[3] იმავე დღეს გაემგზავრა ცხინვალში. აქ მას შეხვდნენ ადგილობრივი თემის, გვარდიის, ჯარის და სხვათა წარმომადგენლები. ცხინვალის მთავარ ქუჩაზე ჩამწკრივებულნი იყვნენ სანაპირო რაზმის კარისკაცები. მინისტრი რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიესალმა ჯარისკაცებს და უსურვა მხნეობა და თავდადება მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის საკეთილდღეოდ. მის სიტყვებს ჯარისკაცები ხანგრძლივი „ვაშა“-თი შეხვდნენ. ამის შემდეგ მთავრობის მთავარრწმუნებულ, დამფ. კრების წევრ ლ. ჟღენტთან გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რაზმის უფროსი, სახალხო გვარდიის საველე შტაბის, მაზრისა და ადგილობრივი ერობის წარმომადგენლები. მინისტრი დაწვრილებით გაეცნო ამ კუთხის მდგომარეობას ოსების აჯანყების შემდეგ. როგორც გამოირკვა მშვიდობიანობა უკვე დამყარებულა, თუ არ მივიღებთ სახეში იმას, რომ ხანდახან ჩვენს ჯარისკაცებს ესვრიან მთებში ზოგიერთი მიმალული მეამბოხეები“ (ერთობა, 1920, გვ. 4).

მოცემულ ტექსტში საგულისხმოა, რომ მინისტრის მიზანს წარმოადგენდა განურჩევლად ყველა ეროვნების და შეხედულების მოქალაქეს დაცულად ეგრძნო თავი. „ჩვენი რესპუბლიკა იმიტომ არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ იგი ერთნაირად იცავს ყველა თავის მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნების და სარწმუნეობისა, ინტერესებს. მაგრამ ამავე დროს იგი ერთნაირად დასჯის ყველას, ვინც მოისურვებს და მოინდომებს აჯანყებით და შინაური ომის საშუალებით სისხლში ჩახშობას მშრომელი ხალხის მიერ შექმნილი რესპუბლიკის. მე იმედს გამოვთქვამ, რომ შემდეგ არავითარ ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი არ ექნება და მთავრობა თქვენთან ერთად მოახერხებს სამუდამოდ მშვიდობიანობისა და წესრიგის დამკვიდრებას, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას განვითარდეს და სათანადოდ მოემზადოს უკეთესი მერმისისთვის“ (ერთობა, 1920, გვ. 4).

სამწუხაროდ, ცხინვალის რეგიონში აღდგენილმა სიმშვიდემ და წესრიგმა სულ რამდენიმე თვეს გასტანა. ზურაბ ავალიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, როდესაც 1921 წლის თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო მაგიდაზე დააწვინეს და ნაცადმა დასტაქარმა, საბჭოთა ხელისუფლებამ, სასტიკი ოპერაცია ჩაუტარა (ავალიშვილი, 1990, გვ. 11). ქვეყანას თავს მოახვიეს საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ქვეყნებთან გაერთიანება, დაიკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორიები და მივიღეთ სრულიად ახალი ისტორიული ქსოვილის ძალზე რთული ნაჭერი, რომელიც ჯერაც არ გამოსულიყო ფეიქრის ხელიდან (ავალიშვილი, 1990, გვ. 12).

გასაბჭოებულ საქართველოში სოკოებივით დაიწყო მომრავლება ახალგაზრდა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა. წითელმა სენმა მასობრივად იწყო გავრცელება. აქტიურობდა ცხინვალიც. თებერვალ-მარტის მოვლენებიდან ორიოდ კვირაში გაზ. „კომუნისტი“ აუწყებდა მკითხველს ცხინვალში ჩამოყალიბებული ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ. „ცხინვალში დაარსდა ახალგარდა კომუნისტური ორგანიზაცია. ორგანიზაციაში ჩაეწერა 40-მდე მუშა და გლეხი. უმრავლესობა ოსებია. მუშაობა დიდის გატაცებით და ენერგიით სწარმოებს. ახლომახლო სოფლებში გაგზავნილია ამხანაგები, რომლებმაც უნდა შეაკავშირონ ოსეთის ახალგაზრდობა. მომუშავე ამხანაგები საჭიროებენ ინსტრუქციებს და ლიტერატურას“ (კომუნისტი, 1921ა, გვ. 4).

ბოლშევიკური ხელისუფლება განკარგულებებს გამოსცემდა სხვადასხვა სახის არალეგიტიმური რევკომების, საბჭოების თუ ყრილობების სახელით. მათი გადაწყვეტილებები კი იწოდებოდა ხალხის სახელით მიღებულ გადაწყვეტილებებად,

[3] საუბარი ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს. მის გარდა, 1920 წლის 28 ივლისს გორსა და ცხინვალში ჩასული დელეგაციის შემადგენლობაში იყო კანცელარიის დირექტორი ს. გეგელაშვილი, რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორი ი. ქარცივაძე.

თუმცა არაფრით არ ასახავდა ხალხის თავისუფალ ნებას. უფრო მეტიც, ბოლშევიკთა პოლიტიკა ეფუძნებოდა ადამიანთა ფართო მასების ინტერესების იგნორირებას და ამ ინტერესთა საპირისპირო მოქმედებას.

ერთ-ერთი ასეთი არალეგიტიმური წარმონაქმნის, სამხრეთ ოსეთი რევკომის მიერ საქართველოს რევკომის სახელზე გაგზავნილ მისალმებაში ნათქვამია: „ცხინვალიდან. სამხრეთ ოსეთის რევკომის თავმჯდომარის მოადგილის გაგლოევის ხელმოწერით: დღეს, ივნისის 8-ას სამხრეთ ოსეთში რევოლუციონურ აჯანყებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების წლისთავზე, მშრომელი ხალხი მოგილოცავთ თქვენ რევოლუციონურ გლეხთა და მუშათა ბელადებს და თავის განაწამებ და შებურულ სამშობლოს ნანგრევებზე ფიცსა სდებს დარაჯად უდგეს რევოლუციონურ მონაპოვართ საქართველოს მუშათა და გლეხთან შეკავშირებული. გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას და მის ბელადებს. გაუმარჯოს დიდი რუსეთის დიდ არმიას და საქართველოს ახალგაზრდა ჯარს. გაუმარჯოს საქართველოს ყველა მუშათა და გლეხთა კავშირს. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას“ (კომუნისტი, 1921ბ, გვ. 1).

ასეთი ჩქარი სვლით ედება საბჭოთა მანქანა ცხინვალს და მის მიმდებარე ტერიტორიას. როგორც ვნახეთ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკთა რევოლუციური კომიტეტის 1920 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება[4] განუხორციელებელი დარჩა. თუმცა სეპარატისტულად განწყობილი ოსური დაჯგუფებები საკუთარი ჩანაფიქრის რეალიზებას აქტიურად შეუდგნენ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. პირველყოვლისა მხედველობაში გვაქვს „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური და ბოლშევიკური კომიტეტები. 1921 წლის 6 სექტემბრის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა დადგენილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (ცენტრით ცხინვალი) შექმნის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც ცხადჰყოფს, რომ თვით ქართველ ხელმძღვანელ ბოლშევიკთა შორისაც ამ საკითხზე არ ყოფილა საერთო აზრი. 1921 წლის 27 სექტემბერს შინაგან სამქმეთა სახალხო კომისარიატის[5] უარყოფითმა დასკვნამ შეაჩერა აღნიშნული საკითხის განხილვა. დასკვნაში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა სამაზრო ერთეულის უფლებებით გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრებით, საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია.

„სამხრეთ ოსეთი, როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსობით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთ შორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვს - არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად. თვითეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს ერთეულად სხვა და სხვა გეოგრაფიულ და სამეურნეო პროვინციებისა. ეს რაიონები ერთი მეორისგან დაშორებული არიან გადაუვალი მთებით და ამასთანავე თვითეულს მათგანს აქვს სრულიად თავისუფალი გამოსავალი მხოლოდ ბარში. იგინი ერთი მეორეს მოწყვეტილნი არიან წლის განმავლობაში რამდენიმე თვით და თვითეული მათგანი ეკონომიურად დამოუკიდებელია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად“ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. #14, აღწ, #1, საქ. #10, ფურც. 121).

---

[4] „Подчиняясь приказу Кавказского краевого комитета, признаем необходимим обявить Советскую власть, пока в Рокском районе, закрыть ушелье... присоединиться к РСФСР... о том известить Москву и демократическую Грузию“ (Ментешашвили, 2003, стр. 62).

[5] ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სახლხო კომისარი იყო ბ. კვირკველია.

ბ. კვირკველიას ხელმოწერილი უარყოფითი დასკვნის საფუძველზე რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს[6] მიერ „სამხრეთ ოსეთის“ მოწყობის საკითხის განხილვის შემდეგ, უარი ეთქვა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის იდეას და თანხმობა მიეცა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის შექმნას ცენტრით ცხინვალში.[7]

საგულისხმოა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ მეთერთმეტე არმია გარკვეული დროით რჩება საქართველოს ტერიტორიაზე. „მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში“ (თოიძე, 1991, გვ. 147) - 1921 წლის 29 და 30 მარტს სწერდა ლენინი ს. ორჯონიკიძეს.

ვიდრე გასაბჭოების შემდგომი პერიოდის საბჭოური რეპრესიული პოლიტიკის შედეგებს შევეხებოდეთ, მკითხველს გვსურს წარვუდგინოთ საქართველოს გასაბჭოებიდან ერთი წლის თავზე, 26 მაისს, არალეგალურად გამოცემული პროკლამაცია, რომელიც დეტალურად ასახავს იმ საპროტესტო მდგომარეობას, რაც არსებობს მთელი ქვეყნის მასშტაბით ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ხსენებული ვრცელი დოკუმენტიდან ჩვენ მხოლოდ გორის მაზრაში არსებული ვითარების ამსახველ მონაკვეთს შევეხებით, რომლიდანაც კარგად შეიგრძნობა იმ პერიოდის ქართლელთა საპროტესტო ჩოჩქოლის ხმა.

„გორის მაზრა. ქართლში 23 მაისიდან დაიწყო ხალხში ჩოჩქოლი. კომუნისტები დადიოდნენ, ეგონათ, აჯანყება იწყებაო. მთელი შეიარაღებული ძალა გორში შეკრიბეს. ცხინვალში ოსეთიდან წამოიყვანეს შეიარაღებული ოსები. 24-ს დილიდან დაიწყო ზარების რეკა სხვა და სხვა ეკლესიებში, ხალხი თემებში გამოვიდა. გავრცელდა ფურცლები. შკოლებზე, ეკლესიებზე, ხეებზე - ყველგან მოსჩანდა ეროვნული დროშები. ქვემო ჭალის, მეჯვრისხევის, პატარა ლიახვის და ტყვიავის რაიონებში ხალხს ოსებიცა და სომხებიც შეუერთდა. გორში ქალაქს გარეთ გაიმართა დიდი მიტინგი. ილაპარაკეს სხვა და სხვა პარტიის ორატორებმა. მიტინგის შემდეგ მანიფესტაცია ქალაქში შემოვიდა. კომუნისტები პირველად დათბნენ. გაისმოდა ეროვნული ჰიმნი. დუქნები დაკეტილი იყო. ბოლოს მანიფესტაცია დაშალეს. მთელ ქართლში ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულება შეჩერდა. კრამიტის, აგურის, ხილის ქარხნებში მუშაობა შესწყდა. ქსანის ქარხანაში მუშებმა დილიდანვე მიატოვეს სამუშაო და სახალხო მიტინგს შეუერთდნენ. აქ თბილისიდან გაგზავნილმა რუსის ებრაელმა კომუნისტმა შიშისგან თავი მოიკლა, ხოლო მეორე კომუნისტი მანიფესტაციას შეუერთდა და დროშას მიესალმა. ძეგვში მიტინგი შესდგა, რომელსაც მცხეთელი გლეხებიც შეუერთდა. ცხინვალში, მიუხედავად ბარბაროსული რეჟიმისა, ეროვნული და შავი დროშები გადმოკიდეს. გორში დუქნები დაბეჭდეს გაფიცვისთვის. დაპატიმრებულია 300-ზე მეტი მოქალაქე“ (კერესელიძე, 2012, გვ. 79-80).

თავისუფალი ნების გამოხატვისთვის დაპატიმრებულთა ეს რაოდენობა მხოლოდ ზღვაში წვეთი გახლდათ. ბოლშევიკური მანქანა სასტიკად უსწორდებოდა მის წინააღმდეგ მიმართულ აქციებსა და თავყრილობებში შემჩნეულ პირებს. თავისუფალ აზრს, ბოლშევიკები უპირისპირებდნენ ფიზიკურ ანგარიშსწორებას, დაპატიმრებებს და მკვლელობებს. ამგვარი რეპრესიული ტალღების უმთავრეს სამიზნეს წარმოადგენდა სასულიერო ფენა, ინტელიგენცია და თავადაზნაურობა. გარდა ამისა, ანგარიშსწორების მსხვერპლი ხშირად ხდებოდა ის, ვინც მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული

[6] რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სხდომას ხელმძღვანელობდა ს. ორჯონიკიძე (ბიუროს სხდომა შედგა 1921 წლის 31 ოქტომბერს).

[7] ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალი გამოცხადდა 1921 წლის 17 ნოემბერს.

რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებაში, ხშირი იყო პირადი ანგარიშსწორების მოტივებით გაპირობებული დაპატიმრება-დახვრეტები და სხვ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში დაცულია უამრავი ადამიანის საქმე, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეების მსხვერპლად იქცნენ. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ: ნიკოლოზ მიხეილის ძე მინგრელსკი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2011), ქრისტეფორე გიორგის ძე ამილახვარი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2014), მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩიკვაიძე (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2025), ნახარბეი კაზილბეკის ძე მარშანია (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2038), ანტონ ივანეს ძე ჩხეიძე (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2046), ვლადიმერ ლუკას ძე მაჭავარიანი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2102), პეტრე მიხეილის ძე ფავლენიშვილი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2145), დიმიტრი დავითის ძე ბეჟანიშვილი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2167), ივანე ლაზარეს ძე ჭალაგანიძე (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21100), დიმიტრი დავითის ძე ალშიბაია (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21113), რევაზ გიორგის ძე გიგინეიშვილი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21122), ნიკოლოზ ფარსადანის ძე წერეთელი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21168), გიორგი მიხეილის ძე ავალიანი (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21198), დავით მელქისედეკის ძე მიქელაძე (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21207), ნიკოლოზ მიხეილის ძე წულუკიძე (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #21256) და მრ. სხვ.

მსგავსი რეპრესიები ხორციელდებოდა არა მარტო თავადაზნაურობის, არამედ რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგაც. მუშების დევნა, მასიური დაპატიმრებები ყოველდღიურ მოვლენებად იქცა. ხშირი იყო შეიარაღებული თავდასხმები სხვადასხვა სახის არჩევნებზე და მათი ჩაშლის შემდეგ ხალხის სახელით და ხალხის ნების უკითხავად რიგი დადგენილებების გამოტანა, რაც უბრალო ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

საინტერესოა ჩვენს ხელთ არსებული ერთი წერილი, რომელიც კარგად ასახავს იმდროინდელ ვითარებას. ეს გახლავთ 1921 წლის 12 ივლისს მეტეხის ციხის პატიმრების მიმართვა საქართველოს რევკომის სახელზე. წერილში ნათქვამია: „ამა წლის თებერვლის 25 და მარტის 18 - ის განმავლობაში საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და ამ გვარად შეიცვალა ჩვენი ცხოვრების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ურთიერთობა. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამებოდა უწინ არსებული ხელისუფლება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, პოლიტიკური ხასიათისაა და არ შეადგენს ჩვენი განცხადების საგანს. მაგრამ ჩვენთვის უდავოა ის გარემოება, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელმაც სამი წელიწადი იარსება, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, ცნობილმა არა მარტო თავისი ხალხისა და მეზობლებისა, არამედ დიდ უცხო სახელმწიფოთა მიერაც, რომელთა შორის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაც იყო, უნდა ქონოდა თავისი სახელმწიფოებრივი აპარატიც, რომელიც არსებობდა და მოქმედებდა მაშინდელი კანონების თანახმად. ეჭვს გარეშეა, ეს აპარატი უნდა ყოფილიყო ცხოვრებაში გამტარებელი ყველა იმ განკარგულება-დადგენილებათა, რომელსაც სახელმწიფოს მაშინდელი ხელისუფლება სცემდა. და თუ ხშირად ამ ტექნიკურ აპარატის საშვალებით ცხოვრებაში ტარდებოდა ისეთო ზომები, რომლებიც ზოგჯერ მიმართული იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც იმ დროს ეწინააღმდეგებოდა არსებულ წეს-წყობილებას, ეს გარემოება არამც და არამც არ უნდა ჩათვლოდა დანაშაულათ იმ პირებს, ვინც მხოლოდ აღმასრულებელი ძალა იყო და პირდაპირ მონაწილეობას პოლიტკურ ბრძოლაში არ იღებდა. და სწორედ ეს მოსაზრება ქონდათ მხედველობაში თებერვლის 25 ამნისტიას და იმ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო ამა წლის მარტის 18 საქართველოს რევკომსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის და რომლის ერთი

მთავარი მუხლთაგანიც იყო სრული ამნისტია ყველა იმ საქმეებთა გამო, რომელიც გამოწვეული იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით, ან სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ თანამდებობათა აღსრულებით. შემდეგ, თუმცა ხსენებული ხელშეკრულება გაუქმებული იქმნა საქართველოს რევკომის მიერ, მაგრამ მუხლი ამნისტიის შესახებ ხელუხლებელი დარჩა. ამნაირათ, ძველი საქმეები არ უნდა დადებოდა სარჩულათ საქართველოს ახალი ხელისუფლების ამა თუ იმ უწყების მიერ ბრალდების წამოყენებას და პასუხისგებაში მიცემას. საუბედუროდ, სინამდვილეში კი ეს ჩვენს მიმართ არ ხორციელდება. არ გასულა ამნისტიის გამოცხადების შემდეგ ერთი თვეც, რომ დაიწყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყოფილ მოსამსახურეთა დაპატიმრება, რამაც თანდათან მასიური ხასიათი მიიღო. ეს დაპატიმრება ზოგჯერ უბრალო შურისძიებით და ზოგჯერ უსახელო დაბეზღებით არის გამოწვეული. ამ პატიმრებს არავითარი ახალი საქმეები არა აქვთ ჩადენილი. ბრალდება ეხება მხოლოდ წარსულ მათს მოქმედებას, რომელიც ამნისტიის ძალით სრულიად დავიწყებული უნდა ყოფილიყო. ჩვენ ქვემორე ამისა ხელმომწერნიც ვეკუთვნით სწორედ პატიმართა ამ კატეგორიას. ჩვენი დანაშაული გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ვემსახურებოდით ჩვენს სამშობლოს იმ კანონების ფარგლებში, რომლებიც შემოიღო ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ და იმ მთავრობის დროს, რომელიც ამავე კრებამ წამოაყენა“ (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #6, საარქ. #2182, ფურც. 38).

მსგავსი ტიპის წერილები მრავლადაა დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. მიუხედავად იმისა, რომ მათი ავტორები ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის შეეხსენებინათ ათასგვარი დანაპირები და აღედგინათ სამართლიანობა, უმრავლეს შემთხვევებში რეაგირება ადრესატთა მხრიდან ნულოვანი გახლდათ. 1921 წლის ნოემბერში ქართველი ემიგრანტების მიერ კონსტანტინოპოლში ფრანგულ ენაზე გამოცემული პატარა წიგნაკის („ქართველი პროლეტარები ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ“) ენით რომ ვთქვათ - „რევოლუციურმა კომიტეტმა არც ერთი დანაპირები არ შეასრულა“ (საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. #14, აღწ. #1, საქ. #36, ფურც. 14-15).

ანალოგიური სირთულისა გახლდათ ვითარება ცხინვალის რეგიონში. ოსი სეპარატისტების გააქტიურება თვალში საცემი ხდება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ცხინვალში არსებულ რეაქციულ ძალებს ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი ეთქვათ 31 ოქტომბერს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალი მხოლოდ 1921 წლის 17 ნოემბერს გამოცხადდა, ხოლო თვითონ საბჭოთა ხელისუფლების პირმშო - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა 1922 წლის 30 აპრილს, ორმოცი ქართული სოფლის და ერთი ქართული ქალაქის - ცხინვალის შემადგენლობით.

ოლქის შექმნა, რა თქმა უნდა, უკანონო და არაბუნებრივი იყო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსურ ეთნიკურ ჯგუფს, ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაში აქვს, თუმცა ეს პროექტი თავიდანვე წარმოადგენდა კრემლის შორსგამიზნული მზაკვრული ჩანაფიქრის ნაწილს.

ამ მიმართულებით საგულისხმოა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსის ს. არუთუნოვის მსჯელობა. მისი მოსაზრებით, ქართულ-ოსური კონფლიქტი „გარდაუვალი იყო თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არავითარი ოსეთი არაა, ეს ტერიტორია ჭეშმარიტად ცენტრალური საქართველოა, სადაც ბოლო საუკუნეებში ოსური მოსახლეობის დომინირებას ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, ოსებს აქვთ იქ ცხოვრების უფლება, მაგრამ ამ ტერიტორიის საკუთარ სახელმწიფოდ გამოცხადების უფლება არ აქვთ. სხვა საქმეა - ჩრდილოეთ ოსეთი“ (Родина, 1992, стр. 71).

გამოყენებული ლიტერატურა

ავალიშვილი, ზ. (1990). *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (მოგონებანი, ნარკვევები).* I. თბილისი.

გაზეთი *„ერთობა“.* (1920). (#172).

გაზეთი *„კომუნისტი“.* (1921)ა. (#48).

გაზეთი *„კომუნისტი“.* (1921)ბ. (#86).

გაზეთი *„საქართველო“.* (1903). (#1).

გაზეთი *„საქართველო“.* (1919)ა. ოსურ საფრთხეზე. (#79).

გაზეთი *„საქართველო“.* (1919)ბ. პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე. (#95).

გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1920)ა. (#172).

გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1920)ბ. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი გორის მაზრაში. *#170.*

გაზეთი *„სახალხო საქმე“.* (1918)ა. (#405).

გაზეთი *„სახალხო საქმე“.* (1918)ბ. (#405).

გაზეთი *„სახალხო საქმე“.* (1921). (3/II).

თოიძე, ლ. (1991). *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც.* თბილისი.

ინგილო, რ. (1918). საქართველოს მტერთა ცრუ იმედები. *საქართველო*(#231).

კერესელიძე, ლ. (2012). 1922 წლის მაისის თვე საქართველოში. *საარქივო მოამბე*(#13).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი #1796, აღწ. #1, საქ. #72, ფურც. 22.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. (III), ფ. #14. აღწ. #1. საქ. #10. ფურც. 121.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #14, აღწ. #1, საქ. #36, ფურც. 14-15.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2011.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2014.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2025.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2038.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2046.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2102.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21100.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21113.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21122.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21168.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21198.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21207.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #21256.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2145.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2167.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #6, საარქ. #2182, ფურც. 38.

სონღულაშვილი, ა. (2009). *„სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://ijhei.files.wordpress.com/2009/11/songulashvili_-_samxret_oseti1.pdf (14.04.2022)

ჯანელიძე, ო. (2017). ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში. *ჯავახიანი.* (#1).

Ментешашвили, А. (2003). *Из истории взаимоотношений Грузинской демократической Республики и Советской Россией и странами Антанти, 1918-1921 гг.* Тбилиси.

Журнал *„Родина“*. (1992). (#1), стр. 71.

REFERENCES

avalishvili, z. (1990). *sakartvelos damouk'idebloba 1918-21 ts'lebis saertashoriso p'olit'ik'ashi (mogonebani, nark'vevebi) [Georgia's Independence in International Politics 1918-21 (Memoirs, Essays)].*I. Tbilisi.

gazeti *„ertoba“*[Newspaper *“Ertoba”*]. (1920). (#172).

gazeti *„k'omunist'i“*[Newspaper “Komuinisti”]. (1921)a. (#48).

gazeti *„k'omunist'i“*[Newspaper “Komuinisti”]. (1921)b. (#86).

gazeti *„sakartvelo“*[Newspaper *“Sakartvelo“*]. (1903). (#1).

gazeti *„sakartvelo““*[Newspaper *“Sakartvelo“*]. (1919)a. osur saprtkheze [About the Ossetian threat]. (#79).

gazeti *„sakartvelo“*[Newspaper *“Sakartvelo“*]. (1919)b. p'rop. ivane javakhishvilis mokhseneba tanamedrove moment'ze [Prof. Iv. Javakhishvili's speech about the modern moment]. (#95).

gazeti *„sakartvelos resp'ublik'a“*[Newspaper Sakartvelos Respublika”]. (1920)a. (#172).

gazeti *„sakartvelos resp'ublik'a“*[Newspaper “Sakartvelos Respublika”]. (1920)b. shinagan sakmeta minist'ri n. ramishvili goris mazrashi [Minister of Internal Affairs Noe Ramishvili in Gori district]. #170.

gazeti *„sakhalkho sakme“*[Newspaper “Sakhalkho Sakme”]. (1918)a. (#405).

gazeti *„sakhalkho sakme“*[Newspaper “Sakhalkho Sakme”]. (1918)b. (#405).

gazeti „sakhalkho sakme“[Newspaper “Sakhalkho Sakme”]. (1921). (3/II).

toidze, l. (1991). *int'erventsiats, ok'up'atsiats, dzaldat'anebiti gasabch'oebats, pakt'obrivi aneksiats [Intervention, occupation, forceful sovietization and factual annexation].* Tbilisi.

ingilo, r. (1918). sakartvelos mt'erta tsru imedebi [False hopes of the enemies of Georgia]. *sakartvelo [Sakartvelo].* (#231).

k'ereselidze, l. (2012). 1922 ts'lis maisis tve sakartveloshi [Month of May of 1922 in Georgia]. *saarkivo moambe [Saarkivo Moambe].* (#13).

sakartvelos iust'itsiis saminist'ros sakartvelos erovnuli arkivi. sakartvelos tsent'raluri saist'orio arkivi. pondi #1796, aghts'. #1, sak. #72, purts. 22. [Georgian National Archive of the Ministry of Justice of Georgia. Central Historical Archive of Georgia. Fund # 1796, Des. # 1, Case. # 72, p. 22].

sakartvelos shinagan sakmeta saminist'ros arkivi. (III), p. #14. aghts'. #1. sak. #10. purts. 121 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (III), f. # 14. Description # 1. Case. # 10. Sheet. 121].

sakartvelos shss arkivi. (II), p. #14, aghts'. #1, sak. #36, purts. 14-15 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 14, Des. # 1, Case. # 36, p. 14-15].

sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2011 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.#2011].

sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2014 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2014].

sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2025 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2025].

sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2038 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2038].

sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2046 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2046].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2102 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2102].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21100 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21100].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21113 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21113].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21122 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21122].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21168 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21168].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21198 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21198].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21207 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21207].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #21256 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##21256].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2145. [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2145]
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2167 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.##2167].
sakartvelos shss arkivi. (II), p. #6, saark. #2182, purts. 38 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. (II), f. # 6, Archiv.#. #2182, Sheet. 38].
songhulashvili, a. (2009). *„samkhret oseti“ sakartveloshi?! [“South Ossetia” in Georgia?!].* Tbilisi. Retrieved from: https://ijhei.files.wordpress.com/2009/11/songulashvili_-_samxret_oseti1.pdf (14.04.2022)
janelidze, o. (2017). ivane javakhishvilis sazogadoebriv-p'olit'ik'uri moghvats'eobis ist'oriidan 1918-1921 ts'lebshi [From the history of Ivane Javakhishvili's public-political activity in 1918-1921].*javakhiani [Javakhiani].* (#1).
Menteshashvili, A. (2003). *Iz istorii vzaimootnoshenij Gruzinskoj demokraticheskoj Respubliki i Sovetskoj Rossiej i stranami Antanti, 1918-1921 gg [From the history of the relations of the Georgian Democratic Republic and Soviet Russia and the countires of Antanta in 1918-1921].* Tbilisi.
Zhurnal *„Rodina“*[Journal “Rodina”]. (1992). (#1), p. 71.